საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-385

25/05/2018

ქ. თბილისი

შპს „RMG Gold”-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობისა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ წარმოდგენილია ქ. დმანისის მუნიციპალიტეტში, შპს „RMG Gold”-ის სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში მომზადებულია შპს „აი-ეს-ჯი კომპანის“ მიერ.

შპს „RMG Gold”-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საყდრისის საბადოს მიმდებარედ, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტიდან 1 კმ-ს დაშორებით.

„წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი”-ს მაგისტრალური გაზსადენის ტრასის 73-75-ე კმ-ის მონაკვეთი გადის შპს „RMG Gold“-ის სალიცენზიო ტერიტორიაზე. შესაბამისად იზღუდება როგორც სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განხორციელება, ასევე ჩნდება რისკი გაზსადენის დაზიანებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროექტი ითვალისწინებს სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანი“-ს DN300 მაგისტრალური გაზსადენის ტრასის 73-75 კმ მონაკვეთის გადატანას. ტრასის გადასატანი მთლიანი სიგრძე შეადგენს 1352 მეტრს. გადასატანი გაზსადენის მშენებლობა მთელ სიგრძეზე დაგეგმილია მიწის ქვეშ, გარდა მშრალი ხევის გადაკვეთისა.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის და შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით მოეწყობა მცირე სამშენებლო ბანაკი. შერჩეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს 934 m^2-ს, მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კატეგორიას და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას. სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განთავსებისთვის ხე-მცენარეული საფარის გაჩეხვა არ იგეგმება.

ძირითადი სამუშაოების დაწყებამდე უნდა განხორციელდეს სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მოსახსნელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ კი რეკულტივაცია. მოხსნილი საფარის დროებითი დასაწყობება მოხდება ცალკე ტერიტორიაზე, გროვებად შესაბამისი წესების დაცვით.

დაგეგმილი სამუშაოების შესრულების პროცესში წყალი გამოყენებული იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით. სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვებისთვის სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე განთავსდება ბიოტუალეტი

პროექტის განხორციელებისათვის დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობა დაგეგმილი არ არის, რადგან პროექტის მიერ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული გზები სავსებით აკმაყოფილებს პროექტის საჭიროებებს.

გაზსადენის გადატანის პროცესში სამშენებლო მოედანზე დაბინძურების სტაციონალური წყაროები არ არის. შესაბამისად არ მომხდარა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრა მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დადგენის მიზნით.

გაზსადენის გადატანის პროცესში გათვალისწინებულია ექსკავატორის, ტრაქტორის, ბულდოზერის, თვითმცლელების □□ გზის სატკეპნის გამოყენება. ყველა მათგანი წარმოადგენს ხმაურის წყაროს. ობიექტის მოწყობის პროცესში ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების დონეების შემცირების მიზნით, მიზანშეწონილია გატარდეს შემარბილებელი ღონისძიებები: მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა, ღამის პერიოდში მუშაობის აკრძალვა და ასევე საჭიროების შემთხვევაში დასაქმებულთა ყურსასმენებით აღჭურვა.

გაზის მილსადენის გადატანის პროცესში მოსალოდნელია როგორც სახიფათო, ასევე არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. ტერიტორიაზე განთავსდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შემკრები კონტეინერი, მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე საყოფაცხოვრებო ნარჩენები გაიტანება ბოლნისის მუნიციპალიტეტის ნარჩენების ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა სამშენებლო მოედანზე შედარებით მცირე რაოდენობითაა მოსალოდნელი, რადგან სამშენებლო ტექნიკის რემონტი და შეკეთება უბანზე არ იქნება ნებადართული (მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში). მცირე რაოდენობით წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები, დაგროვების შესაბამისად, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს დანართის სახით თან ახლავს **2018 წლის 13 მარტის N228/ს „შპს "RMG Gold"-ისთვის სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის 17928 კვ.მ მიწის ფართობზე სპეციალური დანიშნულებით ტყით სარგებლობის უფლების მინიჭების შესახებ“ ბრძანება.**

გზშ-ს ანგარიშში შეფასებულია გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შემუშავებულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ასევე განხილულია მოსალოდნელი ავარიული სიტუაციები და მოცემულია მათზე რეაგირების გეგმა. გარდა ამისა, ანგარიშს თან ახლავს გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ნარჩენების მართვის გეგმები.

აღნიშნული გზშ-ს ანგარიში განიხილა შესაბამისმა ექსპერტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით (ნარჩენების, გეოლოგიის და დაბინძურების)

რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №35; 18.05.2018 და მიენიჭოს საქმიანობის განხორციელების უფლება შპს „RMG Gold“-ს სალიცენზიო ტერიტორიიდან „წითელი ხიდი-წალკა-ალასტანის“ მაგისტრალური გაზსადენის ტრასის (73-75 კმ. მონაკვეთის) გადატანის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. „RMG Gold“-მა საქმიანობა განახორციელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (№35; 18.05.2018) გათვალისწინებული შემდეგი პირობების დაცვით;
   - 3.1 საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, გზშ-ს ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად;
   - 3.2 მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების და რეკულტივაციის დეტალური პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად;
   - 3.3 ნარჩენების მართვა უზრუნველყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად;
   - 3.4 სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
   - 3.5 უზრუნველყოს მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესრულების შესახებ ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა;
   - 3.6 მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში შესვლის შესახებ აცნობოს სამინისტროს;
   - 3.7 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.
4. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „RMG Gold“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „RMG Gold“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი